აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის **2013** წლის ანგარიში

ადამიანის უფლებების შესახებ

თავი 7. დასაქმებულთა უფლებები

ა. გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების უფლება

ახლად მიღებული შრომის კოდექსი, შესაბამისი რეგულაციები და დებულებები ზოგადად უზრუნველყოფს ყველა დასაქმებულის, მათ შორის სამთავრობო სტრუქტურებში დასაქმებულთა უფლებებს შექმნან და გაერთიანდნენ თავისუფალ პროფკავშირებში, მოაწყონ გაფიცვა და აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკებები. კანონით ასევე აკრძალულია დისკრიმინაცია პროფკავშირული კუთვნილების, საქმიანობის გამო, რაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ სტანდარტებთან დაახლოვებად შეაფასა. თუმცა, პროფკავშირების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კანონში კვლავ რჩება დაუსაბუთებელი ნაკლოვანებები, როგორიცაა, გაფიცვისა და დეკრეტული შვებულების უფლება. ამასგარდა მათი შეფასებით, არასაკმარისად არის განსაზღვრული ზეგანაკვეთური და ღამის ცვლის რეგულაციები, ასევე კონტრაქტების პირობები უმთავრესად გაურკვეველი და გამოკვეთილად მიკერძოვებულია დამსაქმებლის უფლების მიმართ.

დამატებით, პროფკავშირების განმარტებით, ახალი რეგულაციები არ აწესრიგებს დასაქმებულთა ჯანმრთელობი დაცვისა და უსაფრთოხოების შესაბამის გარანტიებს, მეტიც, დამსაქმებლებს ანიჭებს უფლებას პროფკავშირებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე განახორციელონ მასიური დათხოვნა. ზოგერთი გარემოებები ზღუდავს ისეთი მექანიზმების ამოქმედებას, რითაც დასაქმებულებს ეძლევათ საშუალოება დაიცვან უფლებები. მაგალითისთვის, კანონით სასამართლოს აქვს უფლება შეაჩეროს პროფკავშირული საქმიანობა იმ შემთხვევაში თუ პროფკავშირის საქმიანობა მიჩნეული იქნება, როგორც სოციალური კონფლიქტის მასტიმულირებელი ქმედება. აღსანიშნავია, რომ მთავრობას, ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია იმ პროფესიის ჩამონათვალი, რომელიც მიჩნეულია როგორც „გადაუდებელი მომსახურება“. თუმცა, ახალი კანონი არ ზღუდავს ძალოვანი სტრუქტურების სააგენტოების, სამედიცინო სფეროს, მეხანძრეების, გენერალური პროკურატურისა და ზოგიერთი სამინისტროების (მათ შორის თავდაცვის) თანამშრომლებს შექმნან ან გაეთიანდნენ პროფკავშირებში და გამოიყენონ გაფიცვის უფლება.

კანონით გაფიცვის უფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში სადაც კოლექტიური შეთანხმება უკვე მოქმედებს. გაფიცვის ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული, თუმცა კანონი 90 დღიან ლოკაუტის პერიოდს აწესებს. სასამართლოს

ენიჭება უფლებამოსილება დაადგინოს გაფიცვის კანონიერება და გაფიცვის მონაწილეთა მხრიდან წესების გადაცდომის შემთხვევაში 2 წლიანი პატიმრობის დაწესება. კანონი უკრძალავს დამსაქმებელს პროფკავშირის წევრთა დისკრიმინაციას ან მათი პროფკავშირული საქმიანობიდან გამომდინარე დათხოვნას, თუმცა არ არის კონკრეტულად განმარტებული, მსგავსი შემთხვევებში მათ სამუშაო ადგილზე დაბრუნების ვალდებულება. დამსაქმებლებს არ აქვთ ვადლებულება უპირობოდ ჩაერთვნენ კოლექტიურ მოლაპარაკებებში, მაშინაც კი როცა პროფკავშირები ან დასაქმებულთა ჯგუფი აყენებს მოთხოვნას, ასევე დამსაქმებლებმა შესაძლოა არ გააფორმონ კოლექტიური ხელშეკრულება დასაქმებულებთან თუ სამუშაო ადგილზე პროფკავშირი არ არის შექმნილი.

მთავრობამ ვერ უზრუნველყო ისეთი კანონების ეფექტიურად ამოქმდება რაც პროფკავშირის დისკრიმინაციას აკრძალავდა და დასაქმებულების გაერთიანების თავისუფლების გარანტიებს შექმნიდა. მათ შორის რაიმე სახის სასჯელების ან მექანიზმის ამოქმედება, რითაც დაცული იქნებოდა უსამართლოდ გათავისუფლებული დასაქმებულები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შრომით უფლებებთან არსებული დავები ხშირად დროში გაწელილია. შრომის ინსპექტორისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროში მედიაციის სამსახურის არ არსებობის გამო, კოლექტიური მოლაპარაკებების ხელშეკრულებების პრაქტიკის ამოქმედება ვერ განხორციელდა (როგორც ეს კანონით არის დადგენილი), ყოველივე ეს შესაბამისად, ხელს უწყობს დამსაქმებელთა შრომით კანონმდებლობასთან მიმართებაში არაადექვეტურ მიდგომებს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავსუფალი პროფკავშირი (სპმთპ-მასწავლებელთა პროფკავშირი), რკინიგზაში დასაქმებულთა პროფკავშირი, საჯარო მოხელეთა პროფკავშირი, ფოსტის პროფკავშირი და ტრასპორტის პროფკავშირი წლის განმავლობაში იუწყებიან მთავრობის მხრიდან პროფკავშირულ საქმიანობაში ჩარევის ფაქტების შესახებ. პროფკავშირებს პრობლემები ექმნებათ საწევრო გადასახადის შეგროვებასთან მიმართებაში, რაც წინა მთავრობის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის გაგრძელებას წარმოადგენს, მათ მრავალი სახის ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა უწევთ პროფკავშირის საწევროების მიღებას მიზნით.

წინა მთავრობამ, ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება და სპმთპ-ის ჩამოართვა უფლება წევრთა საწევრო მიეღო სახელფასო ანარიცხებიდან, რაც ავტომატური გადახდის სისტემით არის ცნობილი. მართალია ამჟამად ეს დავა მოწესრიგდა და ავტომატური გადარიცხვის სისტემა აღდგა თუმცა მასწავლებლებს და პროფკავშირებს კვლავ სკოლის დირექტორების ნებართვა ესაჭიროებათ წევრთა ხელფასიდან საწევროს მიღებასთან დაკავშირებით. 2010 წელს სპმთპ-იმ 100 000 წევრიდან 2012 წლის აგვისტომდე მხოლოდ 5000 წევრის შეინარჩუნა მოახერხა. ამ წლის აგვისტოს თვისთვის სპმთპ-იმ 30 000 წევრი მოიზიდა. პროფკავშირი აცხადებს რომ მიუხედავად იმისა რომ მათ 800 მდე სკოლასთან გააფორმეს ხელშეკრულება ავტომატურად საწევროს გადარიცხვასთან დაკავშირებით, ისინი კვლავ სკოლის დირექტორებთან პრობლემებს აწყდებიან, რადგან დირექტორები უარს აცხადებენ გასცენ ნებართვა. მაშინ როცა არანაირი ნებართვა არ

არის საჭირო სკოლის დირექტორისგან, რომ მასწავლებელმა საკუთარი ხელფასიდან პოლიტიკური პარტიის თუ სხვა ჰუმანიტარული მიზნით დონაცია განახორციელოს. სპმთპ-ის გაცხადებით, მსგავსი შეზღუდვები მათ საქნიაობასა და ფუნქციების შესრულებას უშლის ხელს. ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინსიტროს თანამშრომლები კვლავ აგრძელებენ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორებზე ზეგავლენას გაერთიანდენენ ყვითელ პროფკავშირებში, რომელიც განათლების ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის მიერ არის შექმნილი.

ნოემბრეში, მას შემდეგ რაც სახელმწოფოს დაქვემდებარებაში მყოფმა რკინიგზის კომპანიამ შრომის კოდექსის ვალდებულების მიუხედავად უარი განაცხადა გადაეხადა ზეგანაკვეთური ანაზღურება დასაქმებულებისთვის და არ აწარმოა კოლეტიური მოლაპარაკებები რკინიგზელთა ახალმა პროფკავშირმა გავიცვა მოაწყო. პროფკავშირმა ახალი შრომის კოდექსი პირობების მიხედვით შრომის ჯანმრთელობისა და საციალურ საკითხთა სამინსიტროს მედიაციის მოთხოვნით მიმართა, თუმცა მთავრობამ უარი განაცხადა იმ მოტივით რომ არ არსებობდა მსგავსი მედიაციის სამსახური (რომელიცა არ არის შექმნილი სამისნიტროში). რკინიგზელთა 27 საათიანი გაფიცვის დროს, მენეჯმენტი პროფკავშირის ლიდერებს სამსახურის დაკარგვით დაემუქრა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები რკინიგზელებს სახლებში აკითხავდნენ და აფრთხილებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა გაფიცვაში. პროფკავშირის წარმომადგენლებმა და რგინიგზის მენეჯმენტმა მართალია შეთანხმებას მიღწიეს, თუმცა მთავრობამ ვერ უზრუნველყო მედიაცია მათ შორის დაემუქრნენ პროფკავშირის ლიდერებს და დაარღვიეს ახალი შორმის კოდექსის მოთხოვნები.
2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩვენების შემდეგ, მთავრობამ და პროფკავშირებმა განაახლეს ტრიპარტიული პროცესი, რომლის შედეგია ის, რომ შრომის კოდექსში შევიდა შესაბამისი პირობა და ტრიპარტიული კომისიის თავმჯდომარედ პრემერ მინისტრი განისაზღვრა. თუმცა წლის ბოლომდე ტრიპარტიული კომისიის შეხვედრა არ გამართულა. ამასთან დაკავშირებით ამერიკის დასაქმებულთა ფედერაციის კონგრესმა (AFL-CIO) აღნიშნა რომ კომისიას არ გადაუწყვეტია რაიმე სახის შრომითი პრობლემა, დასაქმებულებმა გამოიყენებს კანონის შესაბამისად მათთვის მინიჭებული გაფიცვის უფლება, მაისში 2 კვირიანი გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 2400-მა ზესტაფონის ფეროს ქარხნის დასაქმებულებმა, რომლებიც ხელფასების ზრდასა და კოლექტიურ მოლაპარაკებებს ითხოვდნენ.

მაშინ როდესაც წინა შრომის კოდექსის პირობებში, პროფკავშირის ლიდერების განმარტებით, დამსაქმებლები მოკლევადიან კონტრაქტებს დებდნენ დასაქმებულებთან იმ მიზნით რომ თვიდან აეცილებინათ მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულება. ახალი შრომის კოდექსი უკვე აწესებს, რომ 3 თვეზე მეტი კონტრაქტი წერილობით ფორმით უნდა იყოს გაფორმებული. ამასთან ერთად კოდექსი განმარტავს რომ კონტრაქტი უკვე უვადოდ ითვლება, როცა 2 ან მერი კონრაქტი ჯამში 30 თვეზე მეტს მოიცავს.